



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

13 მარტი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №67

აღეკო მამეშვილის მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე, 39-ე და 39¹ მუხლების და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აღეკო მამეშვილი მაროკოს ქალაქ რაბატიში „ეკოსისტემაზე დაფუძნებული მმართველობა და საზოგადოებრივი მონაწილეობა ოკეანისა და სანაპიროს მდგრადი განვითარების შეფასებაში (PEGASO)“ გამართულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მიმდინარე წლის 18 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით.

2. მივლინებაში ყოფნის პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ა. მექვაბიშვილს).

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს აღეკო მამეშვილს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. ვინაიდან მივლინებისას მიმღები მხარე ანაზღაურებს მგზავრობის ხარჯს სრულად და სადღეღამისო ნორმის ხარჯს მხოლოდ სამი დღეს, „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების №2 დანართის თანახმად, სამივლინებო ხარჯებიდან ანაზღაურდეს: საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი სრულად; სადღეღამისო ნორმის ხარჯი 2013 წლის 18, 19 და 20 მარტისთვის სრულად, ხოლო 2013 წლის 21, 22 და 23 მარტისთვის მხოლოდ სადღეღამისო ნორმის 30%-ი.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ო.სიორიძის ქ. №14)

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი